კიბოს ევროპული კოდექსი

თქვენ გაქვთ უფლება:

1. თანაბარი ხელმისაწვდომობა

ხელმისაწვდომ და ოპტიმალურ კიბოს მოვლის სერვისებზე თანაბარი წვდომა, მათ შორის მეორე აზრის მოსაძიებლად მიმართოთ სხვა ექიმს ან სამედიცინო დაწესებულებას.

2. ინფორმაცია

მიიღოთ ინფორმაცია თქვენი დაავადების და მკურნალობის შესახებ, როგორც თქვენი მკურნალი გუნდისგან ასევე სხვა სანდო წყაროებიდან, მათ შორის პაციენტებისა და პროფესიული ორგანიზაციებისგან.

3. ხარისხი, ექსპერტიზა და შედეგები

მიიღოთ ინფორმაცია ზრუნვის ხარისხისა და უსაფრთხოების, ექსპერტიზის დონისა და თქვენი კიბოს ტიპისთვის მიღწეული შედეგების შესახებ იმ სამედიცინო ცენტრში სადაც მკურნალობთ.

4. სპეციალიზებული მულტიდისციპლინური ზრუნვა

მიიღოთ ზრუნვა სპეციალიზებული მულტიდისციპლი ნური გუნდისგან, სრულფასოვნად როგორც კიბოს მოვლის ჯგუფის მონაწილემ.

5. ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება

თქვენი ჯანდაცვის გუნდთან ერთად მონაწილეობა მიიღოთ ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებაში თქვენი მკურნალობის და მოვლის ყველა ასპექტის შესახებ.

6. კვლევა და ინოვაცია

ინფორმირებული იყოთ თქვენთვის რელევანტური მიმდინარე კვლევების შესახებ და გქონდეთ უფლება და შესაძლებლობა კვლევაში ჩასართავად.

7. ცხოვრების ხარისხი

თქვენს ჯანდაცვის გუნდთან ერთად განიხილოთ თქვენი პრიორიტეტები და პრეფერენციები ცხოვრების საუკეთესო შესაძლო ხარისხის მისაღწევად.

8. ინტეგრირებული მხარდაჭერა და პალიატიური ზრუნვა

ნებისმიერ დროს, როგორც ონკოპაციენტმა მიიღოთ ოპტიმალური დამხმარე და პალიატიური ზრუნვის სერვისები.

9. გადარჩენა და რეაბილიტაცია

მიიღოთ და განიხილოთ თქვენს სამედიცინო გუნდთან ერთად მკაფიო, მართვადი და მიღწევადი გეგმა თქვენი გადარჩენისა და რეაბილიტაციისთვის.

10. რეინტეგრაცია

სრულად რეინტეგრირდეთ საზოგადოებაში და დაცული იყოთ კიბოსთან დაკავშირებული სტიგმისა და დისკრიმინაციისგან, ისე რომ შესაძლებლობების ფარგლებში შეძლოთ დაუბრუნდეთ ნორმალურ ცხოვრებას.

european cancer ORGANISATION

www.europeancancer.org/code

info@europeancancer.org